

შპს „Ecoservice“

ს/კ 400074879

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო
წლისათვის

**2021 წლის ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები**

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „Ecoservice“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2013 წლის 18 იანვარს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 400074879, იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ერწოს ქ. #4, კორპ. 1, ბინა 60. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის წილის ფლობა განაწილებულია შემდეგნაირად:

შალვა კეყერაშვილი 3/წ 12001039080 – 33 %

ირაკლ მოუბაძე 3/წ 12001025874 – 33 %

შავლეგ ხატიაშვილი 3/წ 40001002250 – 34 %

1.3. კომპანიის დირექტორია თენგიზ ჭიჭინაძე 3/წ 01002005729

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა მიწის ჰორიზონტალური ბურღვის მომსახურება.

1.5. კომპანიას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შეილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.



2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა.

2.4. 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

3. დირექტორი

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე

3. 

თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტრირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოდგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებების ცვეთისათვის გამოიყენება კლებადი ნაშთის მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო

3 

სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

მანქანა-დანადგარები - 5 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 4 წელი;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 5 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის

3. მომზ

საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2018 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.0976 ლარი;

1 EUR=3.5040 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგება და მუხლების განმარტებითი შენიშვნები

ბალანსი:

აქტივები	31/12/2021	31/12/2020
მიმდინარე აქტივები:		
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	294549	285896
სავაჭრო მოთხოვნები	393418	278396
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	20943	23887
სასაქონლო მარაგები	20900	77700
მთლიანი მიმდინარე აქტივები	729810.00	665879.00

ძირითადი საშუალებები:		
მიწის ნაკვეთი	39055	39055
დაუმთავრებელი შენობა	63068	37962
მანქანა - დანადგარები	705609	881934
ოფისის აღჭურვილობა	7397	0
სამაქროს აღჭურვილობა	5012	4516

3. 

სატრანსპორტო საშუალებები	52990	75286
ოჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	758	850
მთლიანი ძირითადი საშუალებები	873889	1039603

არამატერიალური აქტივები:		
აღრიცხვის პროგრამა	505	505
	0	0
მთლიანი არამატერიალური აქტივები	505	505

მთლიანი აქტივები	1604204	1705987
-------------------------	----------------	----------------

ვალდებულებები და კაპიტალი	31/12/2021	31/12/2020
მიმდინარე ვალდებულებები:		
კრედიტორული დავალიანება	10084	9884
საგადასახადო ვალდებულებები	43159	50812
მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები	53243	60696

გრძელვადიანი ვალდებულებები:		
გრძელვადიანი სესხები	31291	47573
მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები	31291	47573
მთლიანი ვალდებულებები	84534	108269
კაპიტალი:		
საკუთარი კაპიტალი		
გაუნაწილებელი მოგება	1519670	1597718
მთლიანი კაპიტალი	1519670	1597718

მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი	1604204	1705987
--	----------------	----------------

3. 

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2021	ნაშთი 31.12.2020
ფული საღარიპი	1084	57784
ფული ბანკში	293464	228112
სულ	294549	285896

3.2. საეაქრო მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2021	ნაშთი 31.12.2020
საეაქრო მოთხოვნები	393418	278395

2021 წლის ბოლოსათვის, კომპანიას საეაქრო ვალები არ აქვს. გადაუხდელი მოთხოვნები არის საქართველოს რეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირების მიმართ მოთხოვნები.

3.3. გადახდილი ავანსები:

	ნაშთი 31.12.2021	ნაშთი 31.12.2020
გადახდილი ავანსები	20943	23886

3.4. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2021	ნაშთი 31.12.2020
ხელსაწყო ინსტრუმენტები	3200	14441
წედლეული და მასალები	17700	63258
სულ	20900	77700

3. 

3.5. ძირითადი საშუალებები:

დასახელება	ნაშთი 31.12.2021	ნაშთი 31.12.2020
მიწის ნაკვეთი	39055	39055
დაუმთავრებელი მშენებლობა	63067	37962
მანქანა - დანადგარები	705609	881934
ოფისის აღჭურვილობა	7396	0
საამქროს აღჭურვილობა	5012	4517
სატრანსპორტო საშუალებები	52990	75286
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	758	850
არამატერიალური აქტივები	505	505
სულ ჯამი:	874392	1040109

ძირითადი საშუალებები მოცემულია ნარჩენი ღირებულებით.

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება
თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2020 წლის ბოლოს - 824583 ლარი

2021 წლის ბოლოს - 1011560 ლარი

3.6. სავაჭრო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2021	ნაშთი 31.12.2020
სავაჭრო ვალდებულებები	10084	9884

3.7. საგადასახადო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2021	ნაშთი 31.12.2020
საგადასახადო ვალდებულებები	43159	50812

3 

3.8. გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2021	ნაშთი 31.12.2020
საბანკო სესხი	31291	47573

3.9. საკუთარი კაპიტალი:

	ნაშთი 31.12.2021	ნაშთი 31.12.2020
გაუნაწილებელი მოგება	1519668	1597718

საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი:

მოგება-ზარალის ანგარიშგება	2021 წელი	2020 წელი
შემოსავლები	1589767	1375832
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან	1589767	1375832
ბარჯები	633537	658419
თვითღირებულება:		
ძირითადი მასალების დანახარჯები	99167	88358
ობიექტებზე გაწეული მომსახურების ხარჯი	47078	110447
პირდაპირი ხელფასის ხარჯი	245064	175379
მანქანა - დანადგარების ცვეთა	176325	228107
საწვავის ხარჯი	65903	56128
სხვა საოპერაციო ხარჯები:	690372	626871
ხელფასის ხარჯი	474334	492047
ძირ. საშუალებების ცვეთა	17142	11758
საიჯარო ხარჯი	10102	5181
სხვა საოპერაციო ხარჯი	188794	117885
საოპერაციო მოგება	265858	90542
არასაოპერაციო შემოსავალი	9300	13055
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	9300	13055
არასაოპერაციო ხარჯი	77984	27860
საპროცენტო ხარჯი	4307	10304
საკურსო სხვაობა	66818	7340
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	6859	10216
მოგება/ზარალი მოგების გადასახადის ხარჯამდე	197174	75737
მოგების გადასახადის ხარჯი	23643	18097
წმინდა მოგება	173531	57640

3. ხელმოწერა

4.1. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

საანგარიშო პერიოდში, კომპანიის ნეტო-ამონაგები მთლიანად შედგებოდა მიწის ჰორიზონტალური ბურღის სამუშაოებიდან მიღებული შემოსავლებისაგან.

თვითღირებულება:

დასახელება	2021 წელი	2020 წელი
ძირითადი მასალების დანახარჯები	99167	88358
ობიექტებზე გაწეული მომსახურება	47078	110447
პირდაპირი ხელფასი	245063.82	175379
მანქანა - დანადგარების ცვეთა	176325	228107
საწვავი	65903	56128
სულ ჯამი:	633536.82	658419

4.2. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

დასახელება	2021 წელი	2020 წელი
საკანცლარიო ხარჯი	291	256
ტრანსპორტირების ხარჯი	24375	10157
კომუნიკაციის ხარჯი	1981	1985
დაზღვევა	3243	3244
ქონების გადასახადის ხარჯი	9134	10920
კომპიუტერის ხარჯები	237	
მივლინების ხარჯი	13486	10082
საბურღი მოწყობილობების რემონტი	26897	
ავტომატების შეკეთების ხარჯი	93982	66315
საწვავის ხარჯი	4759	3647
ბანკის საკომისიო	2026	5937
სამეურნეო ხარჯი	8383	5342
სულ ჯამი:	188794	117885

4.3. არასაოპერაციო შემოსავლები:

დასახელება	2021 წელი	2020 წელი
არასაოპერაციო შემოსავალი	9300	13055

2021 წელს არასაოპერაციო შემოსავალი შედგება ძირითადი საშუალების ნეტო რეალიზაციისაგან.

4.4. არასაოპერაციო ხარჯები:

დასახელება	2021 წელი	2020 წელი
არასაოპერაციო ხარჯები	6859	10216

2020 და 2021 წლების არასაოპერაციო ხარჯი შედგება იმ ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულებისაგან, რომელიც წარმოიშვა მათი რეალიზაციის შედეგად.

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება:

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	2021 წელი	2020 წელი
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1597718	1735867
დივიდენდის განაწილება	251579	195789
საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი	173531	57640
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1519670	1597718

ვასო ქლიბაძე

